ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3523310

ნომერი: AR1537654

თარიღი : 05.09.2017

გაცემის თარიღი : 08.09.2017

გაცნობის თარიღი : 08.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი საარბრუკენი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჩეჩელაშვილი პ/ნ 01008040997
- საქართველო, ქალაქი თბილისი, იოველ ქუთათელაძეს ქუჩა, N 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 5 აგვისტოს AR1537654 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, საარბრიუკენის მოედანზე მდებარე მშენებარე ობიექტის (საკადასტრო კოდით N01.16.05.035.001) არსებულ სამშენებლო ღობეზე საიმიჯო ბანერების განთავსების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. წარმოდგენილი უნდა იქნეს გენგეგმა დროებითი სამშენებლო ღობისა და საკადასტრო საზღვრების დატანით; იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ღობე განთავსებულია N01.16.05.035.001 საკადასტრო ერტეულის საზღვრებში, წარმოდგენილი უნდა იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დოკუმენტი და მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა; ხოლო თუ სამშენებლო ღობე განთავსებულია თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე - წარმოდგენილი უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა; 2. საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დაკონკრეტდეს რა ვადით არის განსაზღვრული საიმიჯო ბანერების მოწყობა;
3. გათვალისწინებული უნდა იქნეს "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები; კერძოდ, მე–4 მუხლის 2' პუნქტის მიხედვით, "საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზის გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.